წერილის ნომერი: **30-302315811**
თარიღი: **07/06/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.50.281) პრივატიზების მიზნით, სამჯერ უზრუნველყო, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის მოწყობა - სხვადასხვა საწყისი საპრივატიზებო საფასურით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი განკარგვა არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 70%-ით შემცირდა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014

წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოდ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.50.281) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური 91744.00 (ოთხმოცდათერთმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) - ლარი შემცირდეს 70% - ით და განისაზღვროს 27 523.2 (ოცდაშვიდი ათას ხუთას ოცდასამი ლარი და 20 თეთრი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვა განხორციელდეს იგივე პირობებითა და შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10 % - ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 2752,32 ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**